ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 26

ქ. თბილისი

28.09.2017

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

ირინა აბულაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის „საქართველო" (MCA - Georgia) „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების" პროექტის მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარე;

გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი;

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის" აკადემიური დირექტორი;

თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;

გიორგი გახელაძე - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეული პროფესორი.

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კორდინატორი;
თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ნანი დალაქიშვილი, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

3. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

ან დელესკიევიჩი, ა (ა) იპ - კავკასიის ფრანგული სკოლის დირექტორი;

თამარ ლომიძე, ა (ა) იპ - კავკასიის ფრანგული სკოლის დირექციის ასისტენტი;

ნორბერტ კაპფერ, ა (ა) იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის დირექტორი;

ნინო აბაშიძე, ა (ა) იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის დირექტორის მოადგილე;

გიორგი ხუბულური, ა (ა) იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

ბარბარა ვატენდორფ, ა (ა) იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის გამგეობის წარმომადგენელი;

ბონდო ზარნაძე, შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემის დირექტორის მინდობილი პირი;

ნატო ზარნაძე, შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემის დირექტორის მოადგილე.

4. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):**

მაკა ნადარეიშვილი;

ლიანა კობესაშვილი;

ქეთევან ბოტკოველი;

სერგო დურგლიშვილი;

იანანა გიგიბერია;

მიხეილ სამხარაძე.

5. **მამია ჯანჯალია**, პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ მურღულიამ.

სხდომა გაიხსნა 16:20 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილი იყო, რადგან ესწრებოდა საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა (ა) იპ - კავკასიის ფრანგული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2 . ა (ა) იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებული შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. ა (ა) იპ - კავკასიის ფრანგული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა საბჭომ დაიწყო 22 სექტემბერს გამართულ ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტებს მაკა ნადარეიშვილს და ლიანა კობესაშვილს უკვე წარდგენილი ჰქონდათ ავტორიზაციის ვიზიტის შედეგად შედგენილი დასკვნა საბჭოს წინაშე. საბჭოს წევრებს კითხვები ჰქონდათ დაწესებულების სასკოლო გეგმისა და სასწავლო პროგრამების ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრის შესახებ, რის გამოც განსახილველი საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღება გადაიდო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი სამსახურისგან თანხმობის წერილის მოთხოვნით. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინათ თავიანთი პოზიცია და ის ნაბიჯები რაც მათ გადადგეს ამ მიმართულებით.

16:30 წუთზე სხდომას შემოუერთდა ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე ირინა აბულაძე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ სხდომის დასრულებისთანავე მიმართეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტს და მიღებული ჰქონდათ დადებითი დასკვნა.

ავტორიზაციის ექსპერტმა მაკა ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების თითოეული კლასის შედეგები შესაბამისობაში იყო და ხშირ შემთხვევაში აჭარბებდა კიდეც ეროვნული სასწავლო გეგმის კლასების მიხედვით გაწერილ შედეგებს.

გრიგოლ მურღულიამ განაცხადა, რომ კითხვები უკავშირდებოდა იმდენად არა სწავლების ხარისხს, არამედ საფეხურების ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობას.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლალი შაიშმელაშვილმა განაცხადა, რომ ცენტრმა გადაამოწმა მოსწავლეთა მობილობასთან დაკავშირებული საკითხი, ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის საკითხი. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგემების დეპარტამენტიდან მიღებული იყო პასუხი, რომ დაწესებულების სასკოლო გეგმა და სასწავლო პროგრამა არ უქმნიდა პრობლემას მოსწავლეთა მობილობას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 450 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტი.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებული იყო ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლას (ს/კ: 204517077) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით.

2. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირისათვის მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და სერგო დურგლიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები.

2.1. ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა საბჭოს მოახსენა, რომ ვიზიტი განხორციელდა დაწესებულების მხრიდან მოსწავლეთა კონტინგენტის გაზრდის შესახებ შემოსული განცხადების საფუძველზე. მან აღნიშნა, რომ ა(ა)იპ- "თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი" მდებარეობდა ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N63. სკოლის მფლობელობაში იყო 8298 კვ.მ.-ის მიწის ნაკვეთზე განთავსებული 3 ფლიგელიანი შენობა-ნაგებობა. სკოლაში არსებობდა 8 მოქმედი საკლასო (I-VIII კლასები) და 4 თავისუფალი ოთახი, რომლებშიც საჭიროების შემთხვევაში განთავსდებოდა კლასები. მეორე სართულზე იყო მუსიკის ოთახი, 3 სახელოვნებო კაბინეტი, 2 ლაბორატორიის ოთახი. შენობის ცენტრალური ფლიგელის პირველ სართულზე განთავსებული იყო ადმინისტრაციის, დირექტორის, დირექტორის მოადგილის ოთახები, სამდივნო და ქსეროქსის ოთახი მასწავლებლებისათვის. სკოლის შენობის ყველა სართულზე გამოყოფილი იყო თავისუფალი სივრცე მოსწავლეებისათვის. სკოლის დერეფნებში დამონტაჟებული იყო ინდივიდუალური კარადები მოსწავლეების ნივთების შესანახად. საკლასო ოთახებში გამოკრული იყო მოსწავლეთა ნამუშევრები, რუკები, პოსტერები და სხვა.

საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო 118 ორადგილიანი, 12 ერთადგილიანი მაგიდებით და შესაბამისი რაოდენობის სკამებით. დოკუმენტაციის გაცნობის და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას კიდევ ჰქონდა დასაწყობებული სასკოლო ინვენტარი.

სკოლას ჰქონდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 1000 კვ.მ. სპორტული მოედანი კალათბურთისთვის, ფეხბურთისთვის და ფრენბურთისთვის. სკოლის შიდა დახურულ სივრცეში იდგა 2 ჩოგბურთის მაგიდა და დახაზული იყო დიდი ჭადრაკის დაფა. დამატებითი სპორტული აქტივობების განხორციელების მიზნით ყოველთვიურად სკოლას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება სპორტულ კომპლექს შპს „არენა"-სთან, ხოლო მოსწავლეთა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფდა სკოლა.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ მართალია სკოლას არ ჰყავდა ექიმი და ექთანი, თუმცა ყველა მასწავლებელს გავლილი ჰქონდა პირველადი დახმარების 8 საათიანი ტრენინგი. ამასთან ყველა სართულზე არსებობდა სამედიცინო კუთხე.

სკოლას ჰქონდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიის 2 ოთახი, ამწოვი კარადითა და ონკანით აღჭურვილ ოთახში მაგიდების ზემოთ ინდივიდუალური მომსახურებისთვის დამონტაჟებული იყო ელექტრო ენერგიით მომარაგების წყარო. დაწესებულების ექვსწლიანი და ერთწლიანი გეგმების გაცნობის და დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ყოველი შემდგომი წლისთვის სკოლას დაგეგმილი ჰქონდა ლაბორატორიის შევსება და განახლება. სკოლას ჰქონდა კომპიუტერული კლასი და 32 ლეპტოპი.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა აბულაძე დაინტერესდა სკოლაში კლასებისა და მოსწავლეთა რაოდენობით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სკოლაში ამჟამად ჰქონდათ 1-8 კლასები და მათ სურდათ კონტინგენტის გაზრდა, რადგან შეთანხმების თანახმად მათ ჰქონდათ მხოლოდ პირველი კლასის მიღების უფლება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენწლიანი იყო შეთანხმება, რომლითაც დაწესებულებას მხოლოდ პირველი კლასის მიღების უფლება ჰქონდა.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ შეთანხმებას ვადა არ ჰქონდა განსაზღვრული. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროს შორის თანამშრომლობის შესახებ დადებული მემორანდუმის პირველი პუნქტის თანახმად სკოლა გაიხსნა პირველი კლასების მიღების (2010/11 სასწავლო წელს) და ყოველ მომდევნო წელს შემდგომი კლასის დამატების უფლებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 230 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ- თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ- თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 230-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ- თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირს (ს/კ: 404378874) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230-ით.

საბჭოს წევრმა გიორგი გახელაძემ 17:00 საათზე დატოვა სხდომა.

3. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის N 103 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ 2017 წლის 22 სექტემბერს ავტორიზაციის საბჭომ შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განუსაზღვრა 100-ით. ავტორიზაციის განახლებული დებულების თანახმად საჭირო იყო პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულების მხრიდან მოწერილი წერილის მიხედვით დაწესებულებას სურდა ინტერნეტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულიყო 28- ით, კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის 27-ით, ბუღალტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის 21-ით და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის 24-ით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნატო ზარნაძემ განაცხადა, რომ ამჟამად მათ ჰყავდათ 58 პროფესიული სტუდენტი, თუმცა კიდევ სურდათ სტუდენტების მიღება. რისთვისაც მათ გარკვეული მოდიფიცირება გაუკეთეს პროგრამებს.

პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ განაცხადა, რომ 2019 წელს მოქმედებას წყვეტდა საგნობრივი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამები. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რას გულისხმობდა მათ მიერ გაცხადებული პროგრამების მოდიფიცირება და რანაირად შეიძლებოდა პროგრამების მოსწრება 2019 წლამდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ საგნობრივი პროფესიული პროგრამებისათვის შეცვალეს სასწავლო კალენდარი და შეკუმშეს დროში. გადანაცვლება მოხდა სასწავლო გეგმაში, კერძოდ სასწავლო პრაქტიკის ნაწილში გადანაცვლებული იყო საათები და თანმიმდევრობა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ კვლავ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ზოგადად ერთი 60 კრედიტიანი პროგრამა 30 საათიანი კვირეული დატვირთვის პირობებში ძლივს ესწრებოდა ოქტომბრიდან ივნისამდე და საინტერესო იყო დაწესებულება როგორ ახერხებდა 17 საათიანი დატვირთვის პირობებში პროგრამების განხორციელებას. მან დასძინა, რომ ორცვლიანი სწავლების პირობებში, შეკუმშული პროგრამის განხორციელება მისთვის წარმოუდგენელი იყო.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით სასწავლო პრაქტიკის საათები გადანაწილებული იყო ისე, რომ სკოლის მოსწავლეების არდადეგების პერიოდი იყო გამოყენებული პრაქტიკის საათებისთვის.

საბჭოს წევრმა გრიგოლ მურღულიამ განაცხადა, რომ შეკუმშული პროგრამა, როგორც წესი, უკავშირდებოდა ხარისხსის ეჭვქვეშ დაყენებას. დროში შეკუმშვა ნიშნავდა იმას, რომ საათების რაოდენობა იგივე რჩებოდა, მაგრამ ერთი თვის ნაცვლად ასწავლით ერთ კვირაში. საჭირო იყო იმის დასაბუთება, რომ შესაძლებელია 60 კრედიტიანი პროგრამის ამ დროში სწავლება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ, მიმართა ექსპერტებს გამოეთქვათ მოსაზრება აღნიშნული საკითხის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტმა მიხეილ სამხარაძემ განაცხადა, რომ მათ ვიზიტისას შეისწავლეს და განიხილეს პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნულ პროგრამებზე სწავლა გრძელდებოდა 2018 წლის 18 დეკემბრამდე. ახალი სტუდენტების მიღების შემთხვევაში დატვირთვა გაიზრდებოდა 15 საათით. კანონმდებლობით კვირეული დატვირთვა 40 საათს არ უნდა აღემატებოდეს. ამ შემთხვევაში იმ სტუდენტებისათვის, ვინც პარალელურად სკოლის მოსწავლეც იქნებოდა დატვირთვა აღემატება დადგენილს, მაგრამ კანონში არ იყო მითითებული, რომ ორივე ერთად არ უნდა აჭარბებდეს დადგენილ ზღვარს.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ 60 კრედიტიანი პროგრამის 1 წელიწადში გავლა შესაძლებელი იყო. შეკუმშული პროგრამა გამიზნული იყო სკოლის მოსწავლეებისათვის. თუ სტუდენტი შემოსული იქნებოდა გარედან, მას შეეძლებოდა 30 საათიანი დატვირთვით 1 წელიწადში კურსის დასრულება.

ავტორიზაციის ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ მათი აზრით სკოლის მოსწავლეებისათვის ეს შეკუმშული პროგრამა სავსებით განხორციელებადი იყო და ხელს არ უშლიდა პროგრამის შედეგებზე გასვლას.

ავტორიზაციის ექსპერტმა მიხეილ სამხარაძემ დაამატა, რომ კანონმდებლობით კვირაში 40 საათზე მეტი დატვირთვა არ უდნა ყოფილიყო და თუ საკითხს მხოლოდ პროფესიულის ჭრილში განვიხილავდით, ხელს არაფერი უშლიდა. პროგრამა გრძელდებოდა წელიწადი და 3 თვე, რადგან პროფესიული სტუდენტები შაბათსაც სწავლობდნენ.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, თუ რატომ ღებულობდა დაწესებულება სტუდენტებს საგნობრივ და არა მოდულურ პროგრამებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოლარე-ოპერატორის მოდულური პროგრამა, რომელსაც დაწესებულება ახორციელებდა ცენტრის მიერ იყო გაუქმებული.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ მიმართა დაწესებულებას, რომ მათ შეეძლოთ დაესრულებინათ მესამე საფეხურის ბუღალტრის პროგრამა და დანარჩენი აეღოთ მოდულური პროგრამები. მამია ჯანჯალია დაინტერესდა აგრეთვე, თუ ყავდათ კრიმინალისტის პროფესიის დამსაქმებელი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები საქმდებოდნენ ფოტოდაქტილოსკოპის თანაშემწედ.

ავტორიზაციის ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტები იყვნენ პრაქტიკის ობიექტზე, სადაც დამსაქმებელი იყო კმაყოფილი და თვლიდა, რომ საჭირო იყო ასეთი სპეციალისტების მომზადება.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ საბჭოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება უკვე განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის პროგრამებზე გადანაწილების შესახებ, რაც ნიშნავდა 100 სტუდენტის 4 პროგრამაზე გადანაწილებას სკოლის მოთხოვნის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ეტაპზე ავტორიზაციის ექსპერტების აზრით შესაძლებელი იყო პროგრამების განხორციელება და საბჭოს შეეძლო შემდგომი მონიტორინგის განხორციელება ეთხოვა ცენტრისათვის 3 თვის ვადაში, რათა ადგილზე გადამოწმებულიყო სასწავლო პროცესი, პროგრამები და სილაბუსები.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ ნანი დალაქიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შესრულებული სამუშაოსათვის და გაიზიარა საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრება გონივრულ ვადაში დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის N 103 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხს პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის მინიჭებული კვოტის (100 პროფესიული სტუდენტი) ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გადანაწილების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (გრიგოლ მურღულია)

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის N 103 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 2. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230-ით, მათ შორის საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისთვის 130 - ით, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის 100 -ით დანართის შესაბამისად. ''

დანართი:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	მესამე	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	65		ქართული	28	ქ. თბილისი, ზაზიაშვილის ქ. N 1
2	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპი)	მესამე	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60		ქართული	27	ქ. თბილისი, ზაზიაშვილის ქ. N 1
3	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45		ქართული	21	ქ. თბილისი, ზაზიაშვილის ქ. N 1
4	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი	მესამე	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45		ქართული	24	ქ. თბილისი, ზაზიაშვილის ქ. N 1

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 17:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირინა აბულაძე

მდივანი

თამარ ფხალაძე